სასტუმრო ოლავერდში

სოფელი ოლავერდი ახალქალაქიდან 14 კმ დაშორებით მდებარეობს. სოფლიდან კარგად სჩანს აბულის და ქოროღლის მთები. ქოროღლის მთაზე წინაქრისტიანული ციკლოპური ციხე (ძვ.წ. II ათასწლ.) მდებარეობს. ძველ ისტორიულ წყაროებში ის შაორის ციხედაა მოხსენიებული და ზღვის დონიდან 2752 მ-ზეა აგებული.

სწორედ ამიტომაა, რომ სოფელს ბევრი ტურისტი სტუმრობს. ტურისტს კი გამართული ინფრასტრუქტურა სჭირდება. ოლავერდის მკვიდრმა ჰაიასტან გილოიანმა კარგად იცოდა მშობლიური სოფლის ტურისტული პოტენციალის შესახებ და მცირე ზომის სასტუმროს აშენებაც გადაწყვიტა. საკუთარი სახსრებით მიზნის მიღწევა, წარმოუდგენელი იყო. ჰაიასტანმა ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) მიმართა, შეიქმნა საინტერესო პროექტი, რომელიც ევროკავშირმა დააფინანსა.

“ჩვენ სოფელს ტურისტული თვალსაზრისით მომგებიანი მდებარეობა აქვს. შაორის ციხიდან ლამაზი ხედი იშლება ფარავნის ტბაზე, საიდანც შეგიძლიათ გზა გააგრძელოთ და ლევანის ტბაც მოინახულოთ. ტურისტული სეზონი ზამთარ-ზაფხულ გვაქვს.

ჩვენ სასტუმროს 4 კეთილმოწყობილი ოთახი აქვს, 1 მისაღები და სამზარეულო. სასტუმრო ყველა საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი, რისი საშუალებაც ევროკავშირის მიერ გრანტის სახით გამოყოფილმა თანხამ მოგვცა”, - ამბობს სასტუმროს მეპატრონე.

ჰაიასტან გილოიანმა გასტრონომიულ მხარეზეც იფიქრა და გადაწყვიტა ტურისტებს მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით დამზადებული ტრადიციული კერძები შესთავაზოს.

“კვების საკითხი მნიშვნელოვანია. ჩვენ სასტუმროში ტურისტები თავად შეძლებენ საკვების მომზადებას. თუ სურვილი ექნებათ, გამზადებულს მივართმევთ, მაგრამ ძალიან მინდა სტუმრები საჭმლის მომზადების პროცესში ჩავრთო, ერთად გავაკეთოთ ტრადიციული კერძები: ტოლმა, აველუკის სალათები და ა.შ. ვფიქრობ, ასე უფრო ეზიარებიან ჩვენი კუთხის ადათ-წესებს და წეს-ჩვეულებებს”, - აღნიშნა ჰაიასტან გილოიანმა.

ის დარწმუნებულია, რომ სულ მალე მოიხსნება პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სასტუმრო სრული დატვირთვით ამუშავდება.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.